შპს „ევროპული სკოლა“ აცხადებს ვაკანსიას
სასადილოში მოლარის პოზიციაზე

თანამდებობის მიზანი: სკოლის სალაროს მართვა და სასადილოში სწორი გაყიდვების უზრუნველყოფა

ფუნქცია-მოვალეობები:

ა) სკოლის სალაროს მართვა და სასადილოში სწორი გაყიდვების უზრუნველყოფა;

ბ) პროგრამა FMG მარკეტში მუშაობა და შესაბამისი გაყიდვების წარმოება როგორც ნაღდი, ისე ტერმინალის ანგარიშსწორებით;

გ) სასადილოში პროდუქტების გაყიდვაზე პასუხისმგებლობა და სწორი ბუღალტრული ოპერაციებისთვის საჭირო მასალისა და მონაცემების შეგროვება;

დ) პროდუქციის რეალიზაციის პროცესში მოსწავლეებთან და სხვა კლიენტებთან ურთიერთობა;

ე) საბაზისო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და მდგომარეობის დაცვა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების/უფლებამოსილებების განხორციელება, უშუალო უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

მომსახურების გაწევის პროცესში გასათვალისწინებელი გარემოებები:

- კომუნიკაბელურობა;
- ყურადღებიანობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ინსტრუქციების დაცვის უნარი;
- ორგანიზებულობა.

დაინტერესების შემთხვევაში, გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) ელექტრონული ფოსტის მისამართზე: vacancy@europeanschool.ge სათაურის ველში მიუთითეთ „მოლარე“ ან დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე - **032 2 39 59 64** -

გთხოვთ, ელექტრონული წერილის თემის ველში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი რეზიუმე არ განიხილება.

აღნიშნულ ვაკანსიაზე მონაცემების გაგზავნით ადასტურებთ, რომ თანახმა ხართ, კომპანიამ ‘‘პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის‘‘ ფარგლებში შეაგროვოს, დაამუშავოს და შეინახოს წარდგენილი ინფორმაცია (cv) თქვენი დასაქმებისთვის საჭირო პროცედურების წარმართვის მიზნით. პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ აღნიშნული მიზნისთვის და თქვენი თანხმობის გარეშე არ გადაეცემა მესამე პირს.